

“მე ღარიბი ვარ “ - სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების გამოცდილება საქართველოში

ანასტასია ქიტიაშვილი, ნაზი ფარსადანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ბ, მე-3 კორპუსი, 0179 თბილისი, საქართველო

ანოტაცია

კვლევები ცხადყოფს, რომ სიღარიბე უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. სიღარიბე არის მასტიგმატიზებული სოციალური სტატუსი, რომელიც ხშირად იწვევს სოციალური კონტაქტების შემცირებას, სოციალურ იზოლაციასა და საზოგადოებისგან გარიყვას. სიღარიბე საქართველოსთვის ერთ-ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა. თუმცა, სიღარიბის დაძლევის სტრატეგიების დაგეგმვისას არ გამოიყენება კვლევები, რომლებიც ასახავს სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების განწყობებსა თუ გამოცდილებას; არ არსებობს უშუალოდ ბავშვებთან ჩატარებული კვლევებიც. მოცემული კვლევის მიზანი იყო სიღარიბის სოციალური და ფსიქოლოგიური გავლენის კვლევა ბავშვებში, მათი იდენტობისა და სოციალური გამოცდილებების შესწავლა. თვისებრივი ინტერვიუები ჩატარდა 12-17 წლამდე ასაკის 40 მოზარდთან (22 გოგონა და 28 ბიჭი) თბილისში, სპეციალურად შედგენილი ინსტრუმენტის გამოყენებით. ყველა ბავშვი ცხოვრობდა სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებულ ოჯახებში, რომლებიც სახელმწიფოსაგან იღებდნენ ფულად სოციალურ დახმარებას. კვლევაში დაცული იყო საერთაშორისო ეთიკის ყველა ნორმა. კვლევის შედეგად გამოვლინდა ბავშვთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე სიღარიბის მრვალმხრივი ნეგატიური ზეგავლენა: მატერიალური და სოციალური დეპრივაცია, ღარიბად თვითაღქმასთან დაკავშირებული შიშის, სისუსტის, შფოთვისა და სირცხვილის განცდები, სოციალური ექსკლუზია და სხვა მასტიგმატიზებული გამოცდილებები. ბავშვების უმრავლესობა სიღარიბესთან გამკლავების სხვადასხვა სტრატეგიას იყენებს, როგორებიცაა, მაგალითად, ფინანსების დაზოგვა ტანსაცმელზე და მათ საჭიროებებზე, ოჯახისათვის ფინანსური დახმარების მიზნით სამუშაოს ადრე დაწყება ან მშობლებთან ერთად სამუშაოს გაზიარება.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა სიღარიბე, სოციალური იდენტობა, სტიგმა, დაძლევის სტრატეგიები

1. შესავალი

სიღარიბე უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის კოგნიტურ, ემოციურ თუ სოციალურ განვითარებასა და ზოგადად, მათს კეთილდღეობაზე (Ridge, 2009; Atree, 2005; Zaidi and Burchardt, 2005). არსებობს მონაცემები, რომ უკვე 3 წლის ასაკში, ღარიბი ოჯახის ბავშვები მთელი წლით ჩამორჩებიან თანატოლებს კოგნიტური და სოციალური განვითარებისა და სკოლისათვის მზაობის მაჩვენებლით (Dobson & Middleton, 1998). ყველა ქვეყანაში, სიღარიბე ოჯახებისთვის ქრონიკული სტრესის წყაროა (Mcloyd, V.C. & Wilson, 1990).

სიღარიბის სხვადასხვა განმარტება არსებობს, რომელთაგან ნაწილი ეკონომიკურ ასპექტებზე აკეთებს აქცენტს, ნაწილი კი სოციალური კონტექსტის მნიშვნელობას

გამოკვეთს. თანამედროვე განსაზღვრებები კიდევ უფრო კომპლექსურია და სიღარიბეში სხვადასხვა სახის დეპრივაციას უსვამს ხაზს. მოცემული კვლევა ეყრდნობა ამარტეა სენის განსაზღვრებას, რომლის მიხედვით, სიღარიბე შესაძლებლობების დეპრივაციას ნიშნავს (Sen, 1995). ამ მიდგომის მიხედვით, სიღარიბისას ადამიანი განიცდის იმ „შესაძლებლობების“ სიმწირეს, რაც მისი განვითარებისათვის, დამოუკიდებელ ინდივიდად ფორმირებისათვისაა აუცილებელი. „შესაძლებლობებში“ იგულისხმება არა მხოლოდ გარე/ექსტერნალური რესურსები, არამედ პიროვნულიც, ადამიანური და სოციალური კაპიტალი. სიღარიბისაგან თავის დაღწევისათვის კი მნიშვნელოვანია ეკონომიკური, ადამიანური, პოლიტიკური, სოციო-კულტურული და სხვა დამცავი შესაძლებლობების ქონა (Amartya Sen, 2001).

სიღარიბისადმი კეთილდღეობის მიდგომის მიხედვით, სიღარიბისას ადამიანის სუბიექტური კეთილდღეობა შემცირებულია. სიღარიბე არის ფიზიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური ან თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო რესურსებისა და პირობების სიმწირე. სიღარიბე უნდა განვიხილოთ როგორც პროცესი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული უთანასწორობასთან, დაუცველობასთან, მოწყვლადობასთან, დისკრიმინაციასა და საზოგადოებიდან გარიყვასთან. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა კი ხაზს უსვამს ადამიანის ბაზისური მოთხოვნილებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების შეზღუდვას (Narayan & Petesch eds., 2007).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიღარიბის ამ მიდგომებში აღწერილი მრავალმხრივი დეპრივაციის შესწავლა ბავშვებთან. სუბიექტური კეთილდღეობის დაბალი დონე, თვითაქტუალიზაციისა და ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შეზღუდვა მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ განვითარებაზე.

1.1. სიღარიბის გავლენა ბავშვის სოციოემოციურ განვითარებაზე ეკოლოგიური სისტემების თეორიის პერსპექტივიდან

ბროფენბრენერის ეკოლოგიური სისტემების ანალიზის თეორია ხშირად გამოიყენება ბავშვების განვითარებაზე მატერიალური დეპრივაციის ნეგატიური ეფექტების შესასწავლად. ბროფენბრენერის მოდელის მიხედვით, განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიკრო, მეზო, ეგზო, მაკრო და ქრონო სისტემებში მიმდინარე პროცესები (Bronfenbrenner, 1994).

სიღარიბის შემთხვევაში, ბავშვების ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს ისეთ მიკრო სისტემებს შიგნით და შორის მიმდინარე პროცესები, როგორებიცაა ოჯახი, სკოლა თუ თანატოლების ჯგუფი. ეკონომიკურ სიდუხჭირესთან დაკავშირებული მშობლების სტრესი, ოჯახში არსებული დაძაბულობა და კონფლიქტები ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები, არა ღარიბებისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ხშირად განიცდიან თანატოლების მხრიდან უარყოფასა და ნაკლებ აღიარებას (Bolger, Patterson, Thompson & Kupersmidt, 1995; Patterson et al., 1990; Patterson, Vaden & Kupersmidt, 1991). ტანისამოსის უქონლობის თუ უსახსრობის გამო ისინი აღიქმებიან როგორც „განსხვავებულნი“, რაც მათ სტიგმატიზაციასა და იზოლაციას იწვევს. თანატოლებთან ურთიერთობების პრობლემები, წიგნებისა და სხვა სასკოლო ნივთების უქონლობასთან ერთად, სასკოლო გარემოში ადაპტაციისა და სწავლის სირთულეებთანაც შეიძლება იყოს დაკავშირებული.

მშობლების სამუშაო გარემო და მათი სოციალური ქსელი წარმოადგენს იმ ეგზო სისტემებს, რომლებსაც ასევე შეუძლიათ სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების სოციოემოციურ განვითარებაზე ირიბი გავლენის მოხდენა. მშობლების სამუშაო სტრესი და დამაბულობა, ნაკლებად მხარდამჭერი სოციალური ქსელი, შეიძლება განაპირობებდეს შვილებთან არაადაპტური კომუნიკაციისა და აღზრდის სტილების გამოყენებას.

სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების განვითარებაზე ზეგავლენას ახდენს ეკოლოგიურ მაკრო სისტემაში არსებული ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა, მაგალითად, ქვეყანაში სიღარიბის წინააღმდეგ არსებული სოციალური პოლიტიკა, სიღარიბესთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული სპეციფიკური დამოკიდებულებები, მასტიგმატიზებული რწმენები თუ სხვა.

1.2. „ღარიბები“, როგორც სპეციფიკური ჯგუფი და სიღარიბის სტიგმა

სიღარიბეში მცხოვრებნი საზოგადოების ცალკე სოციალურ კლასად ყალიბდებიან, რომელიც დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსითა და პრესტიჟით ხასიათდება. სიღარიბეში მცხოვრებნი სხვადასხვა ხარისხით შეიძლება მიაკუთვნებდნენ თავს მოცემული სოციოეკონომიკური სტატუსის ჯგუფს და შესაბამისად, სხვადასხვა დონით შეიძლება განიცდიდნენ იმ რწმენებს, მახასიათებლებსა თუ დამოკიდებულებებს, რომლებიც ღარიბთა ჯგუფში მოიაზრება. ტაჯფელისა და ტერნერის მიხედვით (Tajfel & Turner, 1986), ამა თუ იმ ჯგუფთან მიკუთვნებულობა განაპირობებს ჯგუფთაშორის შედარებებს (ღარიბებსა და მდიდრების შორის) და ადამიანის სოციალური იდენტობის „ნეგატიური“ ან „პოზიტიური“ შინაარსებით დატვირთვას.

სიღარიბე ხშირად თვალთ ხილული და ადვილად ამოცნობადია არასათანადო ტანისამოსისა თუ სხვა მატერიალური რესურსების სიმწირის გამო. ამ ფაქტორებმა შეიძლება ხელი შეუწყონ ღარიბ ადამიანებთან დაკავშირებული სტიგმის ჩამოყალიბებას. სტიგმას მნიშვნელოვანი ნეგატიური სოციალური და ფსიქოლოგიური გავლენა აქვს ადამიანებზე; მისი ეფექტები განსაკუთრებით საგულისხმოა ბავშვებზე, რადგან, მათ მიერ სტიგმის გაცნობიერებამ და გაშინაგნებამ საზიანო გავლენა შეიძლება მოახდინოს მათი მე-კონცეფციისა და თვითშეფასების ფორმირებაზე.

1.3. საქართველოს კონტექსტი

საქართველოში, ბოლო 5-6 წლის მანძილზე, შეიმჩნევა მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენცია. იმ ადამიანთა წილი, რომელთა დღიური ხარჯები 1.25 აშშ დოლარზე ნაკლები იყო, (ე.ი. „უკიდურეს სიღარიბეში“ მყოფი მოსახლეობა) 9%-დან (2011 წ.) 4%-მდე (2013 წ.) შემცირდა. შინამეურნეობის მთლიანი თვიური შემოსავალი საშუალოდ 52%-ით გაიზარდა; ასევე, გაიზარდა ერთი ეკვივალენტური ზრდასრული პირის (PAE) მიერ პროდუქტების მოხმარება. თუმცა, უფრო სიღრმისეული კვლევა გვიჩვენებს, რომ პროგრესი თანაბარი არ ყოფილა და ნაკლებად აისახება ბავშვებზე (UNICEF, 2015). ყოველი მეექვსე ბავშვი ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობს, სადაც მინიმალური საჭიროებები დაუკმაყოფილებელია (UNICEF, 2015).

2015 წელს სამომხმარებლო სიღარიბის მაჩვენებლების კლების მიუხედავად, ადამიანებში მაინც იმატა სიღარიბის სუბიექტურმა განცდამ. ამგვარი „სუბიექტური სიღარიბის“ მაჩვენებლები გაუარესდა და შეადგინა მთლიანი მოსახლეობის 36% (2013 წ. - 24.3%) და ბავშვების 37.2% (2013 წ. - 22.9%) (UNICEF, 2015).

საქართველოს სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ფარგლებში არსებობს ფულადი დახმარება „სოციალურად დაუცველის“ სტატუსის მქონე ოჯახებისათვის.

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის აღნიშნული ნაწილი ღარიბთა კიდევ უფრო სპეციფიკურ და მკვეთრად განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფს ქმნის, რომელიც საზოგადოებაში სპეციალური სახელით - „სოციალურად დაუცველებით“ - არიან ცნობილი.

სიღარიბის დაძლევის სტრატეგიების დაგეგმვისას არ გამოიყენება კვლევები, რომლებიც ასახავს სიღარიბესთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ თუ სოციალურ ფაქტორებს.

2. კვლევის მიზნები და აქტუალობა

სიღარიბის ეფექტების შესწავლა სიღარიბეში მაცხოვრებელი ადამიანების პერსპექტივიებიდან შედარებით ახალი მიდგომაა მსოფლიოში, განსაკუთრებით კი საქართველოში. არ არსებობს უშუალოდ ღარიბ ოჯახში მცხოვრებ ბავშვებთან ჩატარებული კვლევები, რაც შესაძლებელს გახდიდა მათი დამოკიდებულებების, აღქმებისა და გამოცდილებების ანალიზს და ბავშვთა სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვისას შესაბამისი შედეგების გათვალისწინებას.

კვლევის მიზანი იყო სიღარიბის სოციალური და ფსიქოლოგიური გავლენის კვლევა ბავშვებში. კვლევის მიზნებს წარმოადგენდა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების სოციალური იდენტობა, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ დამოკიდებულებები, სტიგმისა და დისკრიმინაციის გამოცდილება, ეკონომიკურ სიღუბნისთან დაკავშირებული დეპრივაცია და სიღარიბესთან გამკლავების სტრატეგიები.

3. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის საკითხების შესასწავლად გადაწყვიტეთ თვისებრივი მეთოდის გამოყენება, კერძოდ, ბავშვებთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება. სიღარიბე კომპლექსური ფენომენია და მისი კვლევისას ბევრი ფაქტორისა თუ მეთოდოლოგიური საკითხის გათვალისწინებაა საჭირო (Ridge, 2009). სიღარიბე მჭიდროდ უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სტიგმა, დეპრივაცია, მოწყვლადობა, საზოგადოებისგან გარიყვა და ა.შ. რაოდენობრივი კვლევები ხშირად ამ ფენომენის კომპლექსურობას ვერ ასახავს, მაშინ, როდესაც თვისებრივ კვლევას მნიშვნელოვანი სოციალური განზომილების გამოვლენა შეუძლია. თვისებრივი კვლევა საკმარის დროს აძლევს რესპონდენტებს, ჩვენს შემთხვევაში ბავშვებს, გაანალიზონ საკითხი და ისე ისაუბრონ საკუთარი დამოკიდებულებების შესახებ, რაც სიღარიბის მსგავსი კომპლექსური საკითხების შესწავლისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თვისებრივ კვლევას შეუძლია თავად „ბავშვების ხმა“ შემოიტანოს სიღარიბის დაძლევის პოლიტიკისა და ინტერვენციების დაგეგმვისას.

კვლევა ჩატარდა 24 ოჯახთან 2017 წლის მარტი-მაისის თვეში, ქალაქ თბილისში. ყველა ოჯახი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. რვა ოჯახს წარმოადგენდა მარტოხელა დედა. ოჯახში ბავშვების რაოდენობა კი მერყეობდა 3-6-ს შორის ($M=3.65$).

სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 12-17 წლის ასაკის 40 მოზარდთან (22 გოგო და 18 ბიჭი), სპეციალურად შედგენილი ინსტრუმენტის გამოყენებით.

ინტერვიუს პროცესი დაახლოებით 30-40 წუთი გრძელდებოდა. ბავშვები პასუხობდნენ არა უშუალოდ სიღარიბესთან, არამედ მათ ზოგად ცხოვრებისეულ გამოცდილებებთან დაკავშირებულ შეკითხვებს. თავდაპირველად, ბავშვებს ვთხოვდით მოეყოლათ მათი ტიპური დღის შესახებ სახლსა და სკოლაში (გაკვეთილები და ექსტრაკურიკულარულ აქტივობები); ასევე, ვთხოვდით, ესაუბრათ ოჯახის წევრებთან,

კლასელებსა თუ მეგობრებთან ურთიერთობების თავისებურებებთან დაკავშირებით. შემდეგ, მხოლოდ ჩაღრმავებული კითხვების სახით, განივრცობოდა სიღარიბის თემა და უშუალოდ მასთან დაკავშირებული გამოცდილება.

კვლევისას დაცული იყო საერთაშორისო დონეზე მიღებული ეთიკის სტანდარტები. ინტერვიუს ალების და აუდიოჩანაწრის გაკეთების უფლებას მშობლებისგან ვიღებდით. მათთანვე გაფორმდა ინფორმირებული თანხმობა. ინტერვიუების ჩანაწერების საფუძველზე მომზადდა ტრანსკრიპტები. ყველა აუდიო ჩანაწერი განადგურდა ტრანსკრიპტების მომზადების შემდეგ.

მონაცემები დამუშავდა რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ ანალიზის ტექნიკის საშუალებით.

4. კვლევის ძირითადი მიგნებები

4.1. სოციალური იდენტობა - „მე ღარიბი ვარ“

კვლევამ აჩვენა, რომ სიღარიბე ბავშვების იდენტობის ნაწილია, რასაც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აფასებენ. ინტერვიუს პროცესში ბავშვები ხშირად ხმარობდნენ ფრაზებს, როგორებიცაა **“ჩვენ ღარიბები ვართ/მე ღარიბი ვარ”** (100 %), **“ჩვენ არაფერი გვაქვს”** (95%). ბავშვების ნარატივში ფიგურირებს დაყოფა **“ჩვენ”**, რაშიც იგულისხმება ღარიბები, და **„ისინი“**, ანუ არაღარიბები. ბავშვები საკუთარი თანატოლების დახასიათებისას, რომლებიც ასევე სიღარიბეში ცხოვრობენ, შემდეგ ტერმინებს იყენებენ: ღარიბი, გაჭირვებული, მორცხვი, უქონელი, წარუმატებელი. ხოლო ბავშვები საკუთარი თანატოლების დახასიათებისას, რომლებიც სიღარიბეში არ ცხოვრობენ, შემდეგ ტერმინებს იყენებენ: მდიდარი, ბედნიერი, ლამაზი, პოპულარული, კარგი.

როგორც მათი ნარატივიდან ჩანს, იდენტობის ფორმირების პროცესში, ბავშვები საზოგადოებას ყოფენ კატეგორიებად და საკუთარ თავს ცალსახად ღარიბთა კატეგორიაში აქცევენ. ჯგუფთაშორისი შედარებების შედეგადად, კი, ღარიბთაგან განსხვავებით, სხვა ჯგუფის წარმომადგენლებს უფრო პოზიტიურ მახასიათებლებს მიაწერენ. სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით (SIT, Tajfel 1978; Tajfel & Turner, 1986), ეს ტენდენცია იმაზე მეტყველებს, რომ სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების სოციალური იდენტობა ნეგატიურია. გარე ჯგუფებთან შედარებით, შიდა ჯგუფური მახასიათებლების უარყოფითად შეფასებისას, ჯგუფის პრესტიჟულობა იკლებს, ჯგუფის წევრების თვითღირებულების განცდა კი მცირდება. სწორედ ამიტომ, რომ კვლევაში მონაწილე სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების ნარატივში ასე ხშირადაა გამოვლენილი ფრაზა - **„მრცხვენია“** (95%), რაც პირდაპირ მიუთითებს მათი თვითშეფასების დევალვაციაზე.

„სულ ერთი ტანსაცმელი მაცვია, სანამ არ გადავაგდებთ; მრცხვენია ხოლმე; სხვებს სულ ახალ-ახლები აცვიათ. ჩემი დის გამონაცვალაა. ახალი კაბა არ მქონია. სკოლაში რომ წავედი, ისევ ის კაბა ჩავიცვი, რაც შარშან“ (13 წლის გოგო).

4.2. სიღარიბესთან დაკავშირებული სტიგმის აღქმა

ინტერვიუებში გამოვლინდა სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების აღქმები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ეპყრობიან მათ საზოგადოების სხვა წევრები. მათ ნარატივში იკვეთება აღქმული სტიგმის, დისკრიმინაციის შემთხვევები.

„თუ ღარიბი ხარ, ეს ბევრ რამეს ნიშნავს ხალხისთვის, არ გენდობიან. ადამიანებს ჰგონიათ, რომ შენ შეიძლება მოიტყუო ან მოიპარო; ერთხელ ფული დაიკარგა კლასში,

ყველამ ეგრევე მე შემომხედა! იცით რას ნიშნავს ეს?! ცუდად გავხდი რამის! კიდევ კარგი მერე იპოვეს “ (17 წლის გოგო).

„მგონია, როცა კლასელები რაღაცაზე იცინიან, მე დამცინიან. ცუდად მაცვია და იმიტომ. არ მეუბნებიან, როცა სადმე მიდიან, რადგან იციან, ფული არ მაქვს. მინდა ხოლმე წასვლა” (15 წლის ბიჭი).

სტიგმატიზებული ადამიანების მიერ საზოგადოებაში არსებული მასტიგმატიზებული დამოკიდებულებების გაცნობიერება, მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ სხვებმა ისინი შეიძლება დაამცირონ, გარიყონ, ან დისკრიმინაციულად მოექცნენ, პრიორისა და რიიდერის სტიგმის სახეების მოდელის მიხედვით, თვითსტიგმატიზაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა (Pryor & Reeder, 2011). ეს უკანასკნელი ასახავს იმ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ეფექტებს, რომელსაც სტიგმა იწვევს. მასტიგმატიზებული გამოცდილება კიდევ უფრო ამძაფრებს დაბალ სოციალურ სტატუსთან დაკავშირებულ ისედაც ნეგატიური შინაარსებით დატვირთულ რწმენებსა და ემოციებს. ამიტომ, კვლევაში მონაწილე ბავშვების ნარატივში, აშკარად ჩანს სიღარიბის უარყოფითი ფსიქოლოგიური შედეგი ბავშვების ცხოვრებაზე - შიშის და უსუსურობის განცდა, შფოთვა, სირცხვილი. მათ დაბალი თვითშეფასება აქვთ და ეშინიათ დაცინვის/ბულინგის, გარიყვის. ბავშვები გამოხატავენ შიშს და წუხილს ფულის ნაკლებობაზე, სირცხვილს და შფოთვას მატერიალური ნივთების არ ქონის გამო (“მრცხვენია” (95%), “მეშინია დაცინვის” (95%), “მეშინია, არაფერი რომ არ გვქონდეს” (93%), “არ გვაქვს” (98%).

„ერთხელ მეგობარმა მითხრა, შენ ხომ ღარიბი ხარ! ძალიან მეწყინა” (13 წლის გოგო).

მასტიგმატიზებული გამოცდილების გაცნობიერებამ, მისმა ინტერნალიზებამ, ბავშვებში შეიძლება იდენტობის მკვეთლად ნეგატიური შინაარსებით ჩამოყალიბება გამოიწვიოს, და, ამდენად, საზიანო გავლენა მოახდინოს მათ ცხოვრებაზე.

4.3. სიღარიბის ატრიბუციები და დაძლევის სტრატეგიები

სიღარიბის მიზეზების ახსნისას ბავშვები ძირითად აქცენტს აკეთებენ მშობლების უმუშევრობაზე და სიღარიბესთან დაკავშირებულ ისეთ ფატალისტურ შეხედულებაზე, როგორცაა, უბრალოდ „გამართლება“.

„ჩვენ არ გავგიმართლა და ამიტომ ვართ ღარიბები. ჩემს კლასელებს უფრო გაუმართლათ”(12 წლის ბიჭი).

„დედა და მამა არ მუშაობენ. ვერ იშოვებს სამსახური. დახმარება, რასაც ვიღებთ, არ გვყოფნის” (14 წლის გოგო).

სიღარიბე ბავშვებს უბიძგებს გამოიყენონ სხვადასხვა სტრატეგია. ერთი, მხრივ, ისინი ცდილობენ თანხის დაზოგვას და ცდილობენ, მშობლებს არ გაუმხილონ საკუთარი სურვილების შესახებ, არ სთხოვონ ფული ტანსაცმლის შესამენად ან გასართობად.

„დედა წუხდა, რო ფულს ვერ მაძლევდა ექსკურსიისთვის. მე ვუთხარი, რა პრობლემაა, სხვა დროს წავალ-მეთქი, მაგრამ ძალიან მინდოდა. დედა მეცოდება, სულ მუშაობს! (16 წლის ბიჭი).

„დედას ისეთი თვალები ჰქონდა, ჩემს თავს ვუთხარი, არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ ვთხოვ ფულს! მთელი დღე მახსოვდა მისი სახე” (17 წლის გოგო).

მეორე მხრივ, თავის სარჩენი ფულის გამოსამუშავებლად, ისინი ადრეულ ასაკში ცდილობენ სამუშაოს დაწყებას ან მშობლებთან ერთად ვალდებულებების განაწილებას (83%). ისინი არაფორმალურად არიან დასაქმებულები ისეთ სამუშაოებზე,

როგორებიცაა, მაგალითად, დღიური სამუშაო, სახლის დალაგება დედასთან ერთად; მშობელთან ერთად დღიური ანაზღაურება კი დაახლოებით 15—25 ლარს შეადგენს. ამასთან ერთად, ბავშვები, დატვირთვის შემსუბუქების მიზნით (განსაკუთრებით, დედის), მშობლებს ეხმარებიან ისეთ საქმეებში, როგორებიცაა დალაგება თუ საკვების მომზადება.

კითხვაზე, რა უნდა გააკეთოს ადამიანი, რომ სიღარიბეში არ იცხოვროს, ბავშვები შემდეგ პასუხებს სცემენ: კარგი სამსახური ჰქონდეს, სხვები დაეხმარონ, ბევრი იმუშაოს. სიღარიბესთან გამკლავების სტრატეგიების დასახელებისას ბავშვების უმეტესობა აქცენტს აკეთებს ინდივიდუალურ მობილობაზე (ინდივიდუალური ძალისხმევის შედეგად სოციოეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, (SIT, Tajfel 1978; Tajfel & Turner, 1986)) (89%), კოლექტიურ მცდელობებზე ხაზგასმა კი 10%-ის შემთხვევაში ვლინდება.

ბავშვების ნარატივში ოჯახი, განსაკუთრებით კი დედა, ფიგურირებს, როგორც სოციალური თუ მატერიალური მხარდაჭერის მნიშვნელოვანი წყარო. ბავშვები ხშირად მიუთითებენ, რომ დედას არ უმხელენ მათი სურვილების შესახებ, რომ მან არ იდარდოს, რადგან ვერ შეძლებს ამ ყველაფრის გაკეთებას. შემდეგ ადგილზე დგანან ბებია-ბაბუა, ბოლოს კი მამა და და-ძმა. საბოლოოდ, ბავშვებს ესმით ოჯახის პრობლემები და არ ადანაშაულებენ მშობლებსა და ოჯახის წევრებს სიღარიბის გამო. მეტიც, მათ მხარდაჭერას უცხადებენ.

4.4. მატერიალური და სოციალური დეპრივაცია

სიღარიბეში ცხოვრებას, ბუნებრივია, თანახლავს მატერიალური დეპრივაცია, რაც, ბავშვების შემთხვევაში, კვების, სწავლის მოთხოვნილებების სათანადო დაკმაყოფილებას უშლის ხელს. სწორედ ეს მნიშვნელოვანი ასპექტები გამოვლინდა საქართველოში, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების შემთხვევაშიც.

საკვების ნაკლებობა (მიუთითებს 95%): ბავშვებს ხშირად ენატრებათ განსხვავებული საკვები, გემრიელი ტკბილეული; მათი საკვები ერთფეროვანია და ხშირად უგემური. ძირითადი საკვებია პური (100%), კარტოფილი (98%), მაკარონი (95%). იშვიათად ხორცი (10%), თევზი (15%).

ბავშვები საუბრობენ სათამაშოების, ყოველდღიური ნივთების, ტანსაცმლის ნაკლებობაზე (93%); მათ სრცხვენიათ სკოლაში ერთი და იმავე ტანსაცმლით სიარული, რომელიც ხშირად გამონაცვალა ან ძველი; განსაკუთრებით უჭირთ ზამთრის ტანსაცმლის შექმნა; ისინი ოცნებობენ ჰქონდეთ ველოსიპედი, „აიფონი“, სათამაშოები.

„რადაცნაირად გიყურებენ, როცა „ისე“ არ გაცვია! მინდა ლამაზი კაბა და ჩანთა მქონდეს“ (15 წლის გოგო).

„როცა ფული არ გაქვს, ვერ ყიდულობ მაგარ ტანსაცმელს. ისე მინდა “ჰელოუ კითის” რადაცები მქონდეს! ჩემს კლასელებს ბევრს აქვთ; დედას დენისა და გაზის ფული არ ყოფნის და ვერ ყიდულობს ჩემთვის“ (13 წლის გოგო).

სათანადო ტანსაცმლის უქონლობა განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდება, რადგან ის ადვილად ხილული/თვალისაჩინო ნიშანია, რაც საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან მათი, როგორც ღარიბის იდენტიფიცირებას აადვილებს და სტიგმასაც შეიძლება აძლიერებდეს.

საკუთარი სივრცის არარსებობა სახლში: არცერთ მათგანს არ აქვს საკუთარი ოთახი, უმეტესობას (70%) არ აქვს საკუთარი საწოლი, სამეცადინო თუ სათამაშო სივრცე.

„და-ძმებთან ერთად მძინავს; ერთი მაგიდა გვაქვს და ყველა იმაზე ვმეცადინებთ. ხმამაღლა მოყოლა მიყვარს სწავლისას, მაგრამ ვერ ვყვები, რომ ხელი არ შევუშალო“. (14 წლის ბიჭი).

ოჯახთან დაძაბული ურთიერთობა (მიუთითა 88%): რესპონდენტების თქმით, მშობლებთან და და-ძმასთან კონფლიქტი მოსდით ნივთების გაყოფისას, მაგალითად, საწერი მაგიდის, ტანსაცმლის, სათამაშოების გაყოფისას, იმასთან დაკავშირებით, თუ საწოლის რომელ მხარეს დაიძინებს.

პრობლემები სწავლის პროცესში (მიუთითებს 80%): მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, რომ არ აქვთ სამეცადინო კუთხე, სადაც გაკვეთილებს მოამზადებენ; არასაკმარისი რაოდენობის სახელმძღვანელოები და მასალები აქვთ, ასევე, აღნიშნავენ, რომ კლასელები კი ახერხებენ რეპეტიტორებთან მომზადებას და მაღალ ნიშნებს იღებენ, მაგრამ მათ ამის შესაძლებლობა არ აქვთ. გამოკითხული ბავშვებიდან მხოლოდ 2-მა აღნიშნა, რომ ძირითადად 8-9 ქულებს იღებს სკოლაში; დანარჩენებს 8 ქულაზე მეტი არ დაუსახელებიათ.

„თითქმის ყველა ჩემი კლასელი ემზადება ინგლისურში; ზოგი 1500 ლარს იხდის, ზოგი დოლარს. დედასა და მამას არ აქვთ ფული; ხანდახან ვთხოვ ხოლმე ჩემს დას დამეხმაროს, ან კლასელებს, მაგრამ ეს იშვითად ხდება. ინგლისური ცუდად ვიცი და ნიშნები ცუდი მაქვს. მინდა ვისწავლო, მაგრამ როგორ?. ჩემს კლასელებსაც არ ეცოდინებოდათ, რომ არ ემზადებოდნენ!“ (16 წლის გოგო).

სოციალური დეპრივაცია (83%): კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვებს ფართო სამეგობრო წრე არ ჰყავთ; ნაკლებად მონაწილეობენ სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში. მაგალითად, ნაკლებად ატარებენ თავისუფალ დროს მეგობრებთან ან კლასელებთან ერთად, ნაკლებად დადიან დაბადების დღეებზე, ექსკურსიაზე, ბანაკში თუ სპორტულ სექციებზე. ამგვარი აქტივობები კი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მეგობრების შესაძენად ან უკვე არსებულ მეგობრებთან ურთიერთობის გასამტკიცებლად. არც ერთ მათგანს არ გადაუხდია დაბადების დღე მეგობრების წრეში; ხშირად ფიქრობენ, რომ არაფერი აქვთ კლასელებთან საერთო; გული სწყდებათ, როდესაც მათი კლასელები სადმე მიდიან გასართობად და მათ არ ეპატიჟებიან.

„მეგობრები არ მყავს, არადა რა კარგი იქნებოდა, გავერთობოდი. . . X_ თან ერთად ვზივარ მერხზე და იმას ველაპარაკები ხოლმე. თითქოს ვერც გამჩნევენ ბავშვები, როგორც ცარიელი ადგილი იყო. . . ვფიქრობ ხოლმე რატომ, რატომ მე?“ (17 წლის გოგო).

ბავშვებს ვთხოვდით, სკალაზე მოენიშნათ დისტანცია საკუთარი თავსა და ოჯახის წევრებსა და კლასელებს შორის. 10 ბალიან სკალაზე კლასელებთან ურთიერთობისას დაფიქსირებული დისტანცია საშუალოდ 6-ის ტოლია, ხოლო ოჯახის წევრებთან 1-ს უტოლდება.

კლასელებთან სოციალური დისტანციის მაღალი დონე განპირობებულია როგორც მათთან სოციალური ურთიერთობების სიმწირით, ასევე მათ სხვა სოციალურ კატეგორიაში, გარე ჯგუფად აღქმით. ამ შემთხვევაში, ერთ საკლასო გარემოში მყოფი მოსწავლეები, სხვადასხვა სოციოეკონომიკური სტატუსის ჯგუფის წევრებად აღიქვამენ ერთმანეთს, რაც მათ შორის კომუნიკაციას და კავშირების დამყარებას ართულებს.

5. დასკვნები

სიღარიბეში ცხოვრებას ბავშვების განვითარებაზე მრავალამხრივი ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ბროფენბრენერის ეკოლოგიური სისტემების თეორიის ჭრილში თუ ვისმჯელებთ, მატერიალური და სოციალური დეპრივაცია განიცდება

ისეთი ძირითადი მიკრო სისტემების ფარგლებში, რომლებიცაა ოჯახი, სასკოლო გარემო, თანატოლების წრე. საზოგადოებაში, როგორც მაკრო სისტემაში, არსებული ნეგატიური დამოკიდებულებები კი, როგორც კვლევიდან ჩანს, პირდაპირ ასახვას ჰპოვებს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების თვითობასა და თვითშეფასებაზე. ისინი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავენ თავიანთ თავს ღარიბად, რასაც მთელ რიგ ნეგატიურ მახასიათებლებს უკავშირებენ. როგორც ლიტერი მიუთითებს (2004), ადამიანების „ღარიბად“ წოდებას მნიშვნელოვანი სიმბოლური, კულტურული, ფსიქოლოგიური გავლენა აქვს ადამიანების ცხოვრებაზე. ეს საზიანო ზეგავლენას შეიძლება ახდენდეს ბავშვების ცხოვრებაზე, მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის ჯგუფებთან ურთიერთობაზე და სიღარიბის თაობიდან თაობაზე გადასვლის მიზეზი გახდეს.

სიღარიბე მასტიგმატიზებული სტატუსია საზოგადოებაში, რაც მწირ სოციალურ კონტაქტებს უკავშირდება და სოციალური იზოლაციის საფრთხესაც ქმნის როგორც სკოლაში, ასევე საზოგადოებაში. არსებობს კვლევები, რომ სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების სტიგმისა და სირცხვილის განცდა ხელს უწყობს დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბებას, ამცირებს სოციალურ კაპიტალს და ხშირად სოციალური გარიყვის მიზეზი ხდება (Walker, 2015). ბავშვების ნარატივში ვლინდება სიღარიბესთან დაკავშირებული უარყოფითი ემოციები, შიში, შფოთვა, წუხილი.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვების სოციალური იდენტობა ნეგატიურია და გარე ჯგუფებთან შედარებით, საკუთარ ჯგუფს უარყოფითად აფასებენ. ბავშვები კლასელებისგან დისტანცირებულად განიცდიან თავს. ერთ საკლასო გარემოში მყოფი მოსწავლეები, სხვადასხვა სოციოეკონომიკური სტატუსის ჯგუფის წევრებად აღიქვამენ ერთმანეთს, რაც მათ შორის კომუნიკაციას და კავშირების დამყარებას ართულებს.

ბავშვები მიუთითებენ სიღარიბის ნეგატიურ გავლენაზე მათ აკადემიურ მიღწევებზე, რაც ძირითადად რესურსების ნაკლებობას უკავშირდება. მსგავსი შედეგები არაერთ კვლევაში დაფიქსირდა (Smith, 1997; Bergeson, 2006), რაც იმაზე მიუთითებს რომ სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვებს აკადემიური წარმატებისათვის დამატებითი სერვისები და დახმარება სჭირდებათ სკოლის თუ სისტემის დონეზე.

ელიოტისა და ლეონარდის (Elliot & Leonard, 2004) კვლევაშიც დადასტურდა ბავშვებზე მატერიალური დეპრივაციის უარყოფითი გავლენა. მატერიალური სიდუხჭირე კვების, სწავლის მოთხოვნილებების სათანადო დაკმაყოფილებას უშლის ხელს. ბავშვები, რომლებიც ვერ იცვამენ საზოგადოებაში ისე, როგორც მიღებულია, ხდებიან დაცინვის თუ მარგინალიზაციის სამიზნეები, ხოლო კარგად ჩაცმული ბავშვები აღიქმებიან, როგორც „მაგრები“ და პოპულარულები.

სიღარიბის მიზეზების ახსნისას ბავშვები ძირითადად ასახელებენ მშობლების უმუშევრობას და იმას, რომ მათ “არ გაუმართლათ”. შესაბამისად, სიღარიბის დამღვევისას ბავშვების უმეტესობა აქცენტს აკეთებს ინდივიდუალურ მცდელობაზე, სამსახურის შოვნასა და მუშაობაზე. სიღარიბის დასაძლევად ბავშვები ცდილობენ მშობლებს არ გაუმხილონ საკუთარი სურვილების შესახებ და ამ გზით დაზოგონ ფული; ან, თავის სარჩენი ფულის გამოსამუშავებლად, ისინი ადრეულ ასაკში ცდილობენ სამუშაოს დაწყებას და მშობლებთან ერთად ვალდებულებების განაწილებას.

მნიშვნელოვანია, სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას ინტერვენციების დაგეგმვა ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით.

განსაკუთრებით საგულისხმოა სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების შესახებ ჩატარებული კვლევების გათვალისწინება.

სამომავლოდ რეკომენდირებულია ლონგიტუდური კვლევების ჩატარება და სიღარიბეში ცხოვრებასთან დაკავშირებული ფაქტორების გრძელვადიანი გავლენების შესწავლა ბავშვებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] Ridge, T. (2009). Living with poverty: A review of the literature on children's and families' experiences of poverty. A report of research carried out by the Centre for the Analysis of Social Policy, University of Bath on behalf of the Department for Work and Pensions.

[2] Attree, P. (2005b). Parenting support in the context of poverty: a meta-synthesis of the qualitative evidence. *Health & Social Care in the Community*, 13(4), 330-337.

[3] Zaidi, A., & Burchardt, T. (2005). Comparing incomes when needs differ: equalisation for the extracosts of disability in the UK. *Review of Income and Wealth*, 51:1, 89-114.

[4] Dobson, B., & Middleton, S. (1998). Paying to care: The cost of childhood disability. Joseph Rowntree Foundation, York.

[5] McLoyd, V.C., & Wilson, L. (1990). Maternal behavior, social support, and economic conditions as predictors of distress in children. *New Dir. Child Dev.* 46: 49-69.

[6] Sen, A. (1995). *The Political Economy of Targeting. In Public Spending and the Poor: Theory and Evidence.* D. van deWalle & K. Nead, Eds.: 11-24. Johns Hopkins University Press. Baltimore.

[7] Sen, A. (1995). *The Political Economy of Targeting. In Public Spending and the Poor: Theory and Evidence.* D. van deWalle & K. Nead, Eds.: 11-24. Johns Hopkins University Press. Baltimore.

[8] Bronfenbrenner, U. (1994). Ecological models of human development. In *International Encyclopedia of Education* (Vol. 3, 2nd ed.). Oxford: Elsevier.

[9] Bolger, Patterson, Thompson & Kupersmidt (1995). Psychosocial Adjustment among Children Experiencing Persistent and Intermittent Family Economic Hardship. *Child development*, 66: 1107-1129.

[10] Patterson, C. J., Kupersmidt, J. B., & Vaden, N. A. (1990). Income level, gender, ethnicity, and household composition as predictors of children's school-based competence. *Child Development*, 61, 485-494.

[11] Patterson, C. J., Vaden, N. A., & Kupersmidt, J. B. (1991). Family background, recent life events, and peer rejection during childhood. *Journal of Social and Personal Relationships*, 8, 347-361.

[12] Tajfel, H., & Turner, J. C. (1986). The social identity theory of intergroup behaviour. In S. Worchel, & W. G. Austin (Eds), *Psychology of intergroup relations* (2nd ed.) (pp. 7-24). Chicago: Nelson-Hall.

[13] Tajfel, H. (1974). Social identity and intergroup behaviour. *Social Science Information*, 13, 65-93.

[14] Walker, R. (2014). *The Shame of Poverty.* Oxford: Oxford University Press.

[15] Smith, J. R., Brooks-Gunn, J., & Klebanov, P.K., (1997). Consequences of living in poverty for young children's cognitive and verbal ability and early school achievement. In G. J.

Duncan & J. Brooks-Gunn (Eds.), *Consequences of growing up poor*. New York: Russell Sage Foundation.

[16] Bergeson, T. (2006). Race, poverty, and academic achievement. Retrieved from <http://www.doh.wa.gov/SBOH/ESS/documents/Race&Poverty.pdf>.

[17] Elliot, R., & Leonard, C. (2004). Peer pressure and poverty: Exploring fashion brands and consumption symbolism among children of the „British poor“. *Journal of Consumer Behaviour*, 3(4), 347-359.

[18] Beresford, P. et al. (1999). *Poverty first hand: Poor people speak for themselves*. London: CPAG

[19] Frost, D. M. (2011). Social stigma and its consequences for the socially stigmatized. *Social and Personality Psychology Compass*, 5 (11), 824-839. DOI: 10.1111/j.1751-9004.2011.00394.

[20] Gill, O. (2001). *Invisible children: child and family poverty in Bristol, Bath, Gloucestershire, Somerset and Wiltshire*. Barnardo's South West.

[21] Green, M. (2007). *Voices of people experiencing poverty in Scotland: Everyone matters?* York: Joseph Rowntree Foundation.

[22] Horgan, G. (2009). *Speaking out against poverty: voices of children living in disadvantaged areas*. Ulster: University of Ulster, Save The Children.

[23] Phung, V. (2008). Ethnicity and Child Poverty under New Labour: A Research Review. *Social Policy and Society*, 7(4), 551-563.

[24] Repetti, R. L., Taylor, S.E., & Seeman, T. E. (2002). Risky families: family social environments and the mental and physical health of offspring. *Psychol. Bull*, 128, 330– 366.

[25] Sharma, N., & Hirsch, D. (2007). *It doesn't happen here: The reality of child poverty in the UK*. London: Barnardo's.

[26] Strelitz, J., & Lister, R. (2008). *Why Money Matters: Family income, poverty and children's lives*. London: Save the Children.

[27] Sutton, L. et al. (2007). *A child's eye view of social difference*. York: Joseph Rowntree Foundation.

[28] Tilly, C. (2007). *Poverty and the politics of exclusion. In Moving Out of Poverty, Cross-Disciplinary Perspectives on Mobility*. Palgrave MacMillian and The World Bank. Washington, DC.

[29] Willow, C. (2001). *Bread is free: children and young people talk about poverty*. Children's Rights Alliance for England: London.

Article received 2018-01-18